საჯარო სამართლის იურიდიული პირი გრიგოლ წულუკიძის
სამთო ინსტიტუტის დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №

ქ. თბილისი სექტემბერი 2026 წ.

ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“-ს გენერალური დირექტორის №21 (18.02.2016) ბრძანებით დამტკიცებული სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის წესდების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ღ“ ქვეპუნქტების, მე-15 მუხლის, მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ საქართველოს კანონის მე-10[7] მუხლის და ინსტიტუტის 2026 წლის 31 ივლისის №140-მ ბრძანების საფუძველზე, სსიპ სსსტც „დელტა“-სთან (წერილი №MOD 7 26 00056815, 20.01.2026 (შემ. №37, 20.01.2025)) შეთანხმებული და სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ (ოქმი №3, 20.01.2026) დამტკიცებული „საშტატო განრიგი და ხელფასის ფონდი“-ს, სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებული (სამეცნიერო საბჭოს ოქმი №4, 27.01.2026) და 2026 წლის 27 იანვრის დირექტორის ბრძანებით №8 დამტკიცებული „თანამდებობების დასაკავებლად საჭირო დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები“-ს და „თანამდებობების სამუშაოთა აღწერის“ შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

I. ინსტიტუტის საშტატო განრიგით განსაზღვრული ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადდეს ღია კონკურსი:

1. მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და სამთო ტექნოლოგიების ცენტრის საბაგირო სისტემების ლაბორატორიის **უფროსი მეცნიერი თანამშრომელის** (ერთი საშტატო ერთეული);
2. ფეთქებადი მასალების ექსპერტიზის, აფეთქებისგან დამცავი სტრუქტურების და მაღალტექნოლოგიური კომპოზიტების განყოფილების პოლიმერული კომპოზიტების და მაღალტექნოლოგიური მასალების ლაბორატორიის **მეცნიერი თანამშრომელის** (ერთი საშტატო ერთეული).

II. დამტკიცდეს ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების დებულება (დანართი №1), კონკურსის ჩატარების პირობები (დანართი №2) და განცხადების ფორმა (დანართი №3).

III. კონკურსი გამოცხადდეს 2026 წლის 08 სექტემბერს.

IV. ინფორმაცია კონკურსის ჩატარების შესახებ განთავსდეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად შერჩეული ორგანიზაცი(ებ)ის და ინსტიტუტის ვებ-გვერდებზე.

V. შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ნიკოლოზ ჩიხრაძე - კომისიის თავმჯდომარე, დირექტორი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
2. გიორგი ქართველიშვილი - კომისიის წევრი, დირექტორის მოადგილე - სამეცნიერო დარგში;
3. ვერიჩკა მაჭარაშვილი - ადამიანური რესურსების და საქმისწარმოების სამმართველოს უფროსი, საიდუმლო საქმისმწარმოებელი;
4. ნიკა ბოჭორიშვილი - მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და სამთო ტექნოლოგიების ცენტრის საბადოთა დამუშავების და სამთო გეოტექნიკის ლაბორატორიის უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
5. ასმათ შეყილაძე - მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და სამთო ტექნოლოგიების ცენტრის ანალიზური ქიმიისა და წიაღისეულის გამდიდრების ლაბორატორიის უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
6. მანანა კეკენაძე - მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და სამთო ტექნოლოგიების ცენტრის ანალიზური ქიმიისა და წიაღისეულის გამდიდრების ლაბორატორიის სპეცქიმიის ჯგუფის უფროსი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;
7. გიორგი ნოზაძე - მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და სამთო ტექნოლოგიების ცენტრის საბაგირო სისტემების ლაბორატორიის უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
8. ირაკლი ახვლედიანი - ფეთქებადი მასალების ექსპერტიზის, აფეთქებისგან დამცავი სტრუქტურების და მაღალტექნოლოგიური კომპოზიტების განყოფილების უფროსი, ფეთქებადი ნივთიერებების სინთეზის, ექსპერტიზის და აფეთქების ტექნოლოგიების ლაბორატორიის უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
9. დავით წვერავა - ფეთქებადი მასალების ექსპერტიზის, აფეთქებისგან დამცავი სტრუქტურების და მაღალტექნოლოგიური კომპოზიტების განყოფილების პოლიმერული კომპოზიტების და მაღალტექნოლოგიური მასალების ლაბორატორიის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

VI. კონკურსანტთა ელექტრონული განაცხადების მიღების და საორგანიზაციო საკითხების უზრუნველსაყოფად, შეიქმნას საკონკურსო კომისიის სამდივნო შემდეგი შემადგენლობით:

1. ნინო ასკილაშვილი - ადამიანური რესურსების და საქმისწარმოების სამმართველოს სპეციალისტი;
2. თინათინ მინდიაშვილი - ადამიანური რესურსების და საქმისწარმოების სამმართველოს სპეციალისტი;
3. ოლღა ჩუდაკოვა - სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის სამეცნიერო პროექტების კოორდინატორი.

VII. ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსანტთა განაცხადების რეგისტრაცია დაიწყოს სამდივნოს მიერ 2026 წლის 08 ოქტომბერს და დასრულდეს 2026 წლის 14 ოქტომბერს.

VIII. საკონკურსო კომისიამ, კონკურსის შედეგები, ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად, წარმოადგინოს 2026 წლის 21 ოქტომბრამდე.

IX. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ქართველიშვილი